განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის დოკუმენტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება:
ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები
(ერთობლივი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი;
შპს კავკასიის უნივერსიტეტი;
სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 26 დეკემბერი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 7 თებერვალი, 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	1. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი; 2. შპს კავკასიის უნივერსიტეტი; 3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი: 206169304; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 204864548 კავკასიის უნივერსიტეტი - 206169304
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შრომითი ურთიერთობები და ევროპული ინტეგრაცია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი - 0319
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა ჩიტაძე. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფავლენიშვილი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ხურციძე. ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე მიქელაძე. დამსაქმებელი. დამოუკიდებელი აუდიტორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შრომითი ურთიერთობებისა და ევროპული ინტეგრაციის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საქართველოში ევროპული სტანდარტების შესაბამისად შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბება, პროგრამის ფარგლებში არსებული სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების, კატეგორიების, კანონების, დებულებებისა და თეორიების გაცნობა, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობათა გაანალიზება და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც საჭიროა მიღებული ცოდნის გამოყენებისათვის სამეცნიერო საქმიანობასა და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის პროცესში.

სამაგისტრო პროგრამა „შრომითი ურთიერთობები და ევროპული ინტეგრაცია“ არ ფუნქციონირებს მსოფლიოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობაში, ამავე დროს, იგი საქართველოს სინამდვილეში იგი უნიკალურია და ქვეყნის სხვა არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ არის დანერგილი პროგრამა, რომელიც იურიდიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვ. მიმართულებების სპეციალისტებს ერთდროულად ამზადებდეს.

შრომითი ურთიერთობებისა და ევროპული ინტეგრაციის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილი იყო რეაკრედიტაციაზე. პროგრამა ფუნქციონირებს საქართველოს სამი წამყვანი უნივერსიტეტის ბაზაზე. სამაგისტრო პროგრამის განხორციელება დაიწყო 2013 წლის 1 დეკემბრიდან და გაგრძელდა 2017 წლამდე. აკრედიტაციის მინიჭება მოხდა 2013 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ.

პროგრამით გათვალისწინებული 28 სასწავლო კურსი ეფუძნება უახლეს ლიტერატურას, ევროკავშირის ქვეყნებში შრომითი ურთიერთობების დარეგულირების მაგალითებსა და პრაქტიკას. ქართული უნივერსიტეტების მხრიდან პროგრამაში ჩართულმა პროფესორ-მასწავლებლებმა სასწავლო კურსები მოამზადეს ევროპელი კოლეგების თანამონაწილობით და კონსულტაციით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 27 დეკემბერს. ვიზიტამდე ერთი დღით ადრე, 26 დეკემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (ნიკა ჩიტაძე, ელენე ხურციძე, ნინო ფავლენიშვილი, ეკატერინე მიქელაძე), სადაც 16:00 საათიდან 19:00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშისა და სხვა დოკუმენტაციის განხილვა.

ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

27 დეკემბერს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 9:15 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან,
- თვითშეფასების ჯგუფთან,
- პროგრამის ხელმძღვანელთან,
- აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან,
- პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან,
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან,
- დამსაქმებელთან.

ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა სამი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შრომითი ურთიერთობების და ევროპული ინტეგრაციის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი („საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“) შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ვინაიდან სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი („სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“) მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან, რადგანაც სტანდარტის 2.1-2.6 კომპონენტები შეფასდა როგორც უმეტესწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

პროგრამის მესამე სტანდარტი („სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა“) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ვინაიდან 3.1 და 3.2 კოპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პროგრამის მეოთხე სტანდარტი („სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც კომპონენტები 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 შესაბამისობაში არიან სტანდარტის მოთხოვნებთან.

პროგრამის მეხუთე სტანდარტი („სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები“) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც 5.1 და 5.2 კომპონენტები შესაბამისობაში არიან სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსების თავსებადობაში მოყვანა.

არც ერთ საგანს არ აქვს წინაპირობა; სასურველია მე-2 და ზედა კურსებზე შეთავაზებულ სავალდებულო კურსებს მაინც ჰქონდეთ რაიმე კურსის გავლის წინაპირობა;

სამაგისტრო ნაშრომის შეფასებიბისას სასურველილ იქნებოდა მეტი ყურადღება დაეთმოს დასკვნით ნაწილის დეტალურად განმარტებას და რეკომენდაციების არსებობას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, არსებობდეს ინფორმაციის სხვა წყაროები პროგრამის შესახებ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით;

სასურველია, რომ მე-2 კურსიდან სტუდენტს ეძლეოდეს თავისუფლება თავად აირჩიოს მისთვის საინტერესო საგანი;

მეთოდოლოგიების კურსები სასურველია იყოს სავალდებულო;

სასურველია, რაოდენობრივი კვლევის მეთოდი იყოს სავალდებულო და ისწავლებოდეს რომელიმე სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით.

სასურველია, რომ შეთავაზებულ საკითხავ წიგნებთან ერთად სტუდენტებს შესთვაზონ აკადემიური სტატიები თანამედროვე ინფორმაციის მისაღებად;

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტისათვის საკითხავი ლიტერატურა არ უნდა იყოს 50 გვერდზე ნაკლები;

სამაგისტრო ნაშრომი დაეყრდნოს არა მხოლოდ ქართულ (მაგ.სამართლებრივ) წყაროებს, არამედ უცხოურ აკადემიურ ლიტერატურას/გამოცდილებას.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას სასურველილ იქნებოდა მეტი ყურადღება დაეთმოს დასკვნით ნაწილის დეტალურად განმარტებას და რეკომენდაციების არსბობას;

სასურველია პროფესორების და მაგისტრანტების ერთობლივი სტატიების მომზადება და სამეცნიერო კონფერენციებში ერთობლივი მონაწილეობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

„შრომითი ურთიერთობები და ევროპული ინტეგრაციის " პროგრამა გახლავთ ერთადერთი პროგრამა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში, რომელიც ერთდროულად ხორციელდება საქართველოს სამი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის მიერ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2013 წელს საქართველოს სამი უნივერსიტეტისა *(სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს ქართულ-ამერიკული უნივერისტეტი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი)* და ევროპის ოთხი უნივერსიტეტის *(ბელგია - ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი, გერმანია - მაგდებურგის უნივერსიტეტი, ბულგარეთი - ეკონომიკისა და მენეჯმენტის ევროპული კოლეჯის და ესპანეთი - სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი)* პროფესორ-მასწავლებელთა ინიციატივით მომზადდა და TEMPUS- ოფისს დასაფინანსებლად წარედგინა ახალი საპროექტო განაცხადი, ინტერდისციპლინარული ხასიათის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით. აღნიშნული პროექტი გახლდათ უნიკალური იმ თვალსაზრისით, რომ მსგავსი პროგრამა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დანერგილი არ იყო.

- დღევანდელ ეტაპზე პროგრამას გააჩნია საქმიანობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება. იგი დაკომპლექტებულია საუკეთესო კადრებით იურისპრუდენციის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ეკონომიკის მიმართულებით.
- პროგრამის ფარგლებში დიდი დრო ეთმობა სტუდენტების დამოუკიდებელ კვლევით საქმიანობას, რომელის ერთ-ერთ მაგალითს ცალკეულ სასწავლო პროგრამებში სემესტრული ნაშრომებზე და საბოლოოდ სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობა წარმოადგენს. საბოლოო ჯამში კი ეს ყველაფერი ორიენტირებულია სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა, ასევე ითვალისწინებს პრაქტიკულ სწავლებას, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს შესაბამის საჯარო და კერძო სტრუქტურებში მემორანდუმების საფუძველზე.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- პროექტის ფარგლებში პროგრამაში ჩართულ თითოეულ პროფესორზე სალექციო კურსის მოსამზადებლად შესაბამისი ლიტერატურის შეძენისთვის გამოყოფილი იყო თანხა. ყველა შეძენილი წიგნი აღრიცხულია პარტნიორი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში, ასევე თითოეულ უნივერსიტეტს დაუფინანსდა ელექტრონული ბიბლიოთეკების სარგებლობისათვის და საჭირო ლიტერატურის ჩამოტვირთვისათვის 10000 (ათი ათასი) ევროს ღირებულების მომსახურება სამი წლის განმავლობაში. პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნა პროფესორთა ევროპულ ქვეყნებში სტაჟირება და გადამზადება, ასევე უცხოელ პროფესორთა ვიზიტები საქართველოში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ათეული სტუდენტი უცხოელი პროფესორების თანახელმძღვანელობით სამაგისტრო თეზისის მოსამზადებლად სასწავლო მივლინებით გაიგზავნა პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში .
- პროგრამის შემუშავებაში აკადემიური სფეროს წარმომადგენელთა გარდა მონაწილეობა მიიღეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დამსაქმებელთა და პროფესიული კავშირების/ასოციაციების და სამოქალაქო განათლების ინსტიტუციების წარმომადგენლებმა, ასევე კერძო ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები. ამ მხრივ აღსანიშნავია რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სტრუქტურების მხრიდან აინტერესება და ჩართულობა ქმნის შესაბამის წინაპირობას პროგრამის კურსდამთავრებულთა ამ მიმართულებით დასაქმებისა და შემდგომი პრაქტიკული პროფესიული განვითარებისათვის.
- ყველა პროექტის ფარგლებში ჩართულ პროფესორმა მიიღო საკუთარი პერსონალური კომპიუტერი.
- უნივერსიტეტები ფლობენ ლოკალურ ქსელს და ინტერნეტს (უსადენო ინტერნეტით დაფარულია უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია);
- სასწავლო აუდიტორიები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს;
- სასწავლო პრაქტიკის მიზნით ხელმოწერილია შესაბამისი მემორანდუმები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები

შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს განათლება შრომითი ურთიერთობების და ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით, შესძინოს მრავალმხრივი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამეცნიერო კვლევების ჩატარების თეორიულ-პრაქტიკული საბაზისო ცოდნა, შესძინოს მას შემოქმედებითად მუშაობის უნარი, მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები რომლებსაც შეეძლებათ: შრომითი ურთიერთობების ფარგლებში დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობათა დეტალური ანალიზი, სოციოლოგიის, იურისპრუდენციის, ეკონომიკის, პოლიტოლოგიის მეცნიერებათა ძირითადი თეორიების, დებულებებისა და კანონების სისტემური ანალიზი და მათზე დაყრდნობით სოციოლოგიური კვლევების ჩატარება; საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ასპექტების განსაზღვრა, ინტეგრაციის ბაზაზე არსებული ძირითადი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და ა.შ. შედეგად, მიღებული ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა და ცოდნის გაცვლა-გავრცელება სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ ნაწილში. პროგრამის მიზნები რეალისტურია და მიღწევადი. ამის საფუძველს ქმნის პროგრამაში ჩადებული ინოვაციური მიდგომები რაც გულისხმობს სწავლების სივრცის გაფართოებას, მონათესავე დისციპლინებიდან საჭირო სეგმენტების გამოყენებას და საბოლოო ჯამში ორიენტირებულია სპეციალისტზე რომელსაც აქვს ღრმა განათლება კონკრეტულ სფეროში და ამავე დროს აღჭურვილია შესაბამისი ცოდნით რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველი იქნებოდა უფრო მეტი ერთობლივი კვლევითი საქმიანობა პროფესორ-მასწავლებლებისა და მაგისტრატების მონაწილეობით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა უნივერსიტეტების ხედვასა და მისიას. სწავლების შედეგები მკაფიოდაა განსაზღვრული და წარმოადგენს პროგრამის მიზნის ოპერაციონალიზაციას. პროგრამის სასწავლო კომპონენტში ჩართული თითოეული კურსი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რაც გამოიხატება ცოდნისა და უნარების მაღალი ხარისხის მისაღწევად სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის ეფექტურ განსაზღვრაში.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიღებული ცოდნის შედეგად შეძლებს: სიღრმისეულად აღწეროს შრომითი ურთიერთობების ძირითადი სამართლებრივი და მორალური ასპექტები, სისტემურად გააანალიზოს პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციოლოგიური თეორიები, ამოცანები, პარადიგმები და სხვა პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და განსაზღვროს შესაძლო შედეგები; კრიტიკულად დაამუშაოს სხვადასხვა სოციოლოგიური და ეკონომიკური მაჩვენებლები სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით და მათ საფუძველზე მოახდინოს ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით პროგნოზების გაკეთება; გამოიყენოს პოლიტიკური, სოციოლოგიური, სამართლებრივი, ეკონომიკური თეორიების სხვადასხვა ასპექტისთვის მისადაგება/გამოყენება თანამედროვე სხვადასხვა, მათ შორის შრომითი ურთიერთობების პრობლემებთან მიმართებაში; დამოუკიდებლად განახორციელოს შრომითი

ურთიერთობების, ასევე ეკონომიკური, სოციოლოგიური და სხვ. მაჩვენებლების დამუშავება და ანალიზი კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით.

საქართველოში ფუნქციონირებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურები, სამეცნიერო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც სჭირდებათ სამართალმცოდნეები შრომითი ურთიერთობების მიმართულებით, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ეკონომისტები და სხვა სპეციალისტები, რათა პროფესიულად შეისწავლონ, გააანალიზონ და დაგეგმონ საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პერსპექტივები. შესაბამისად, მემორანდუმების არსებობის გათვალისწინებით, პროგრამას შეუძლია 20-ზე მეტ სტუდენტს სტუდენტს გაუწიოს მომსახურეობა კურსდამთავრებულები შეძლებენ აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა; მიღების მოთხოვნები სამაგისტრო პროგრამაში მისაღებ კანდიდატებთან მიმართებაში საჯაროა; ინფორმცია მისაღებ პროცედურებსა და მოთხოვნებზე ხელმისაწვდომია, რაც ადვილებს მსურველთათვის გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა სასურველია არსებობდეს სხვა საინფორმაციო წყაროები. სამაგისტრო პროგრამა მოთხოვს კანდიდატებისგან ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს, საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარებას, ინგლისური ენის ცოდნას B2 - დონეზე (სერტიფიკატით) და საბაზისო პროფესიულ ცოდნას. პროფესიული მასალები ატვირთულია სამივე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ეს ამარტივებს პოტენციური სტუდენტებისათვის მოსამზადებელ პროცესს გასაუბრებისათვის, რომელიც პროგრამაზე მოხვედრის დამატებითი წინაპირობაა. წინა წლებთან შედარებით, როცა ადმინისტრირებაში ჩართული იყო სამივე (ქართულ-ამერიკული (გაუ), თბილისის სახელმწიფო (თსუ) და კავკასიის) უნივერიტეტი არსებობდა ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემები. დღეის მონაცემებით, შპს ქართულ-ამერიკული უნვერსიტეტი ახორციელებს ერთიან ადმინისტრირებას, შესაბამისად, მიღებისა და შემდგომ სწავლების პროცესი გამარტივდა. პროგრამის შესახებ ინფორამციის ძირითადი წყარო არის საუნივერსიტეტო ვებ-გვერდები და სტუდენტური ფორუმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. სამაგისტრო პროგრამის, ევროინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობები, კურიკულუმი და სილაბუსები; 2. აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმაცია სამივე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია არსებობდეს ინფორმაციის სხვა წყაროები პროგრამის შესახებ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

სამაგისტრო პროგრამა პრაქტიკულია და მის მიერ შექმნილი პრუდუქტი/სპეციალისტი არის/იქნება მოთხოვნადი შრომის ბაზარზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

1. ადმინისტრირების გაუმჯობესება;
2. ლექტორთა და სტუდენტთა კომუნიკაციისათვის აუცილებელი გამარტივებული ელექტრონული საშუალება (საერთო ინტერსაუნივერსიტეტო მეილი, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი ელ-პორტალი)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარებაში მონაწილეობას ღებულობს აღნიშნული უნიერიტეტების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები (ადმინისტრაცია, ხარისხის სამსახური, აკადემიური მენეჯერი, კარიერის სამსახური და ა.შ.), პროგრამის ხელმძღვანელები და ლექტორები. პროცესი არის ღია და გამჭვირვალე.

სასწავლო სილაბუსები შედგენილია კონკრეტული უნივერსიტეტის სტანდარტისა და მოთხოვნის შესაბამისად. პროგრამა ინტერდისციპლინურია; მოიცავს სამართლის, ეკონომიკისა და სოციალური მეცნიერებების სფეროებს. უნივრსიტეტებს გადანაწილებული აქვთ კონკრეტული მიმართულება. კერძოდ, შპს გაუ-ს პროგრამა მიყავს სამართლის, შპს თსუ-ს სოციალური მეცნიერებისა და მეთოდოლოგიისა და შპს კავკასიის უნივერსიტეტს ეკონომიკის კუთხით.

პროგრამა სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი; მათ შორისაა თავისუფალი კომპონენტი. პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრანტი პროფესიული სამუშაოს შესასრულებლად.

სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანია. სრუდენტის ინდივიდუალური დატვირთვის გათვალისწინებით, კრედიტების რაოდენობა წელიწადში არ აღემატებოდეს 75; თუმცა, შეიძლება იყოს 60 ან ნაკლები. 65 ECTS ეთმობა სავალდებულო დარგობრივ სწავლებას; 25 ECTS - არჩევით სასწავლო კურსებს (პრაქტიკას), აქედან 5 ECTS შეიძლება დაგროვდეს პრაწტიკის გავლითსახელმწიფო სექტორში (სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისად) ან მემორანდუმის მქონე ორგანიზაციებში (აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული კომპონენტი სავალდებულოა მათთვის, ვინ არ ეწევა პროფესიულ საქმიანობას ან არაა დასაქმებული სოციალური მიმართულებით); ხოლო 30 ECTS - კვლევას (სამაგისტრო ნაშრომი ემოირიული კვლევით). 10 ECTS თავისუფალი კომპონენტისაა. მისი დაგროვება სტუდენტს შეუძლია პარტნიურ უნივერსიტეტში ან უცხოეთის უნივერსიტეტში თუ მათ აღიარებს საქართველოს კანონმდებლობა.

პროგრამის ხელმძვანელები, ლექტორები, ხარისხის სამსახური, თუ სტუდენტები არიან კოლაბორაციაში პროგრამის მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.

პროგრამის ინიცირება მოხდა TAMPUS-ის პროექტის ფარგლებში. აღნიშნულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობდა ოთხი ევროპული უნივერსიტეტი - ბელგიის, გერმანიის, ბულგარეთის და ესპანეთის. პროექტი გულისხმობდა პროგრამის დაგეგმას, სილაბუსების შედგენას, ქართველი აკადემიური პერსონალისათვის გამოცდილების გაზიარებას და სამაგისტრო თეზისების მომზადებაში ჩართვას.

ამ ეტაპზე პროგრამა ფუნქციონირებს მხოლოდ ქართველი პარტნიორების ჩართულობით. სტუდენტები სრულ სასწავლო და კვლევით მომსახურებას იღებენ სამი ქართული უნივერსიტეტის ბაზაზე; სამაგისტრო კვლევები ტარდება საქართველოში ქართველი პროფესორების ზედამხდველობით.

თსუ ძირითადად უზრუნველჰყოფს სწაველების მეთოდოლოგიურ/თეორიულ ნაწილს; ქაუ - სამართლებრივი ცოდნის მიწოდებას, ხოლო კავკასიის უნივერსიტეტი პროგრამის ეკონომიკურ ნაწილს უძღვება. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები წარმოდგენილი არიან სამივე უნივერსიტეტიდან.

იგეგმება საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტთა გაშვება უცხოეთში სამაგისტროკვლევის შესრულების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი;
2. სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
3. ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის სამსსახურთან, ლექტორებთან, დატუდენტებთან, კურსდამთავრებულბთან;
4. თვითშეფასების დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსების თავსებადობაში მოყვანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) TAMPUS-ის პრიექტის დასრულების შემდეგ მოხდა პროგრამის შენარჩუნება და ის აგრძელებს განვითარებას.
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
• ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; • სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კონკრეტული რაოდენობის კრედიტებით; მითითებულია ლექტორთა, როგორც საკონტაქტო, ისე არსაკონტაქტო საათები. სტუდენტთა დატვირთვა კურსის შინაარსისა და სტრუქტურის შესაბამისია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ არც ერთ საგანს არ აქვს წინაპირობა; ხდება ზოგიერთი არჩევითი საგნის ავტომატურად ჩასმა. კარგი იქნებოდა, სტუდენტს ჰქონდეს საგნების საკუთარი შეხედულებით არჩევის თავისუფლება მე-2 და ზემოთ კურსებზე. პროგრამა პრაქტიკულია, შესაბამისად, კურსების ძირითადი ნაწილი პრაქტიკულ შემთხვევებს ეყრდნობა. ლექციები ინტერაქტიულია და მოითხოვს სტუდენტისგან მზადყოფნას და ჩართულობას ლექციის მიმდინარეობისას; ყურადღება ექცევა ჯგუფურ სამუშაოებსაც. მიუხედავად პროგრამიის პრაქტიკულობისადმი ყურადღების მნიშვნელოვნად გამახვილებისა, აუცილებელია კვლევის მეთოდოლოგიების კარგი ცოდნა, რადგან სტუდენტი აკეთებს კვლევას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას. ამიტომ სასურველია, მეთოდოლოგიის საგნები იყოს სავალდებულო საგნების ჩამონათვალში. ამასთან, კარგი იქნება, თუ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი შეივსება პრაქტიკული ნაწილით, რათა სწავლებისას გამოყენებული იყოს სტატისტიკის რომელიმე პროგრამა.

ლექციის მოსამზადებლად საჭირო საკითხავი ლიტერატურა ან ინფორმაცია, რა არის მოსამზადებელი, მიწოდებულია ლექტორის მიერ. სახელმძღვანელოები, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე, არის სამივე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. წიგნებზე ხელწვდომა ცოტათი გართულებულია, რადგან სხვადასხვა უნივერსიტეტი განსხვავებულ საკითხავ მასალას ფლობს; სიტუაციას არბილებს რიდერები, რომელიც ყველა ბიბლიოთეკაში მოიპოვება. სამივე უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია აკადემიური ელექტრონული ბაზები.

სწავლების შეფასების ფორმატი სხვადასხვაგვარია - ქუიზი, აქტიურობა, შუალედური გამოცდა, ფინალური გამოცდა და პროექტი/პრეზენტაცია. გამოცდების დიზაინიც კურსის სპეციფიკის მიხედვით ვარირებს - დახურული/ღია კითხვები, ესსე და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პროგრამის კურიკულუმი;
2. სასწავლო კურსის სილაბუსები;
3. ინტერვიუები ლექტორებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
4. თვითშეფასების დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. არც ერთ საგანს არ აქვს წინაპირობა; სასურველია მ და ზემოთ კურსებზე შეთავაზებულ სავალდებულო კურსებს მაინც ჰქონდეთ რაიმე კურსის გავლის წინაპირობა;
2. მე-2 კურსიდან სტუდენტს ეძლეოდეს თავისუფლება თავად აირჩიოს მისთვის საინტერესო საგანი;
3. მეთოდოლოგიების კურსები იყოს სავალდებულო;
4. სასურველია, რაოდენობრივი კვლევის მეთოდი იყოს სავალდებულო და ისწავლებოდეს რომელიმე სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

სწავლების მრავალგვარი მეთოდი/მიდგომა

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის უმრავლესი სასწავლო კურსი ითვალისწინებს ესეს მომზადებას და პრეზენტაციას, რაც ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას და მაგისტრანტის მომზადებას სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისათვის. პროგრამა სავალდებულო კვლევით კომპონენტად ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტის მოცულობით. აღნიშნულ პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომს წაეყენება მოთხოვნა, რომ მასში ჩართული იყოს ემპირიული კვლევის კომპონენტი. ეს განაპირობებს სამაგისტრო ნაშრომების აქტუალობას, რამდენადაც ისინი ქართული სინამდვილის ანალიზს შეიცავენ. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მაგისტრანტი ახერხებს მოახდინოს სოციალურ-თეორიული მიდგომების საინტერესო და შემოქმედებითი კომპილაცია. მაგისტრატურის სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია, ამიტომ მაგისტრანტი ვინც არ არის დასაქმებული სოციალური მეცნიერებების მიმართულებით და არ ახორციელებს პროფესიასთან დაკავშირებულ საქმიანობას შეუძლია, პრაქტიკისთვის სავალდებულო 5 კრედიტი დააგროვოს და გაიაროს პრაქტიკა: • სახელმწიფო სექტორის იმ დაწესებულებებში, რომლებიც თვითონ აცხადებენ და ითხოვენ სტუდენტთა გაგზავნას პრაქტიკისთვის; • იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული პარტნიორ უნივერსიტეტებს. სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების პროცესში მაგისტრანტი მიიღებს მნიშვნელოვან გამოცდილებას - დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად აწარმოო სამეცნიერო საქმიანობა და მომავალში მოამზადოს უფრო ვრცელი ნაშრომები, მაგალითად ბროშურები, მონოგრაფიები, წიგნები. კონკრეტული თემით დაინტერესებისას, მაგისტრანტებს გაუჩნდებათ სურვილი იმუშაონ სადოქტორო დისერტაციაზე და მომავალში ჩართულნი იყვნენ სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პროცესში.

გარდა ამისა, მაგისტრანტები მიიღებენ საფუძვლიან გამოცდილებას, რათა შემდგომში მონაწილეობა მიიღონ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეებზე გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში, სიმპოზიუმებსა და ფორუმებში, სადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა წარსდგნენ საქართველოს სახელით ფართო აუდიტორიის წინაშე და მოხსენებების გაკეთებასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღონ კონკრეტული ღონისძიებების ფარგლებში გამართულ დისკუსიებში. გარდა ამისა, მაგისტრანტებს უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცემათ სამეცნიერო და სხვა სახის გრანტების მოზიდვის მიზნით მოამზადონ კონკრეტული საპროექტო წინადადებები პოტენციური დონორი ორგანიზაციის წინაშე მათი წარდგენის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები; ○ სამაგისტრო ნაშრომები; ○ გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან ○ გასაუბრება დამსაქმებელთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამა უნდა უზრუნველყოს სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება და მათი კვლევით პროექტებში ჩართვა. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობისღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამივე უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო კურსები იყენებს ძირითადად ინტერაქტიულ სალექციო მეთოდს. სტუდენტებს წინასწარ ეძლევათ სავალდებულო/რეკომენდებული საკითხავი მასალა, რათა ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები ლექციის მიმდინარეობისას ძირითადი საკითხების განხილვის პროცესში. სილაბუსში გაწერილია ორი ტიპის საკითხავი მასალა: სავალდებულო და რეკომენრირებული. არც ერთი მათგანი არ აღემატება 30 გვერდს. სამაგისტრო სტუდენტის დარგობრივი განვითარებისათვის, სასურველია, სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა არ იყოს 50 გვერდზე ნაკლები. ამასთან, კარგი იქნებოდა, თუ შეთავაზებულ სახელმძღვანელო/წიგნებთან ერთად, სტუდენტებს შესთვაზებენ აკადემიურ სტატიებს საჭირო პროფესიული ცოდნის თანამედროვე ინფორმაციით გასამდიდრებლად. ლექციის შესავალში ხდება წინა ლექციაზე განხილული მასალის შეხსენება ან ახალი ინფორმაციის განხილვა (news), რაც აიოლებს და ლოგიკურს ხდის ახალ მასალასთან ბმას. ჯგუფური პროექტი, ძირითადად დაფუძნებულია შემთხვევის შესწავლის მეთოდზე. გუნდურად მუშაობის პროცესი ავითარებს სტუდენტთა ერთობლივად მუშაობის ორგანიზების დაგეგმისა და განხორციელების უნარებს; ზეპირი პრეზენტაციები კი - კომუნიკაციის უნარს. თუმცა, სასურველია კვლევის სხვა მეთოდების ინტეგრირება, განსაკუთრებით, თუ პროექტი ითხოს კვლევის წარმობას. სტუდენტს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია, დაგეგმოს ლექტორთან შეხვედრა და კონსულტაცია. სტუდენტებს უფლება აქვთ, მოითხოვონ უკუკავშირი შესრულებულ სამუშაოზე. დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, მიმართონ სტუდენტთა ომბუცმენს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. პროგრამის სილაბუსები; 2. ინტერვიუები ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. შეთავაზებულ საკითხავ წიგნებთან ერთად, სტუდენტებს შესთვაზონ აკადემიური სტატიები თანამედროვე ინფორმაციის მისაღებად; 2. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტისათვის საკითხავი ლიტერატურა არ უნდა იყოს 50 გვერდზე ნაკლები; 3. კვლევა (სამაგისტრო ნაშრომი, პროექტი) დაეყრდნოს არა მხოლოდ ქართულ (მაგ.სამართლებრივ, ეკონომიკურ და სხვა) წყაროებს, არამედ უცხოურ აკადემიურ ლიტერატურას და გამოცდილებას. 4. მოხდეს კვლევის მეთოდების გამრავალფეროვნება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) სასწავლო კურსში გამოყენებული მრავალმხრივი მიდგომები სტუდენტთა მოტივაციისათვის.
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- „ევროპული ინტეგრაციის და შრომითი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უნდა უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა სხვადასხვა კომპონენტების გამოყენებით. პროგრამა ხორციელდება სამი უნივერსიტეტის ერთდროული ჩართულობით, თუმცა ეს ხელს არ უშლის შეფასების სისტემას იყოს ობიექტური, სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე. კერძოდ, ყველა სილაბუსის ბოლოს მოცემულია შეფასების სისტემა რომელიც განმარტებულია სტუდენტისათვის გასაგებ ფორმატში, დეტალურადაა აღწერილი ქულათა სისტემა. სასწავლო კურსის შედგენისას ყველა უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საკუთარი შეფასების სისტემის მიხედვით, თუმცა ყველა მათგანი მეტწილად ერთმანეთის მსგავსია.
- ინფორმაციას შეფასების შესახებ სტუდენტი იღებს პირადად ლექტორის საშუალებით ან ელექტრონულად ძირითადად ელექტრონული ფოსტის ან უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის საშუალებით. შეკითხვების არსებობის შემთხვევაში მაგისტრანტები მიმართავენ ლექტორებს ან პროგრამის აკადემიური კოორდინატორს, რომელიც ნებისმიერი ინფორმაციის ძირითადი წყაროა.
- სტუდენტთა შეფასების სისტემის უკმაყოფილების შემთხვევაში არსებობსსტუდენთთა ომბუცმენის აპარატი რომელიც ინდივიდუალურად განიხილავს შემთხვევებს და ეხმარება მაგისტრანტებს.
- პროგრამის პრაქტიკული ნაწილი არ არის სავალდებულო ყველა სტუდენტისათვის. მისი შეფასება ხორციელდება სპეციალური პროცედურის სახით რომელიც ასევე აღწერილი სილაბუსებში
- მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის წინასწარ განსაზღვრული და აღწერილია პროგრამის სილაბუსებში
- სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ ფასდება კვლევის კეთილსინდისიერება პლაგიატის პროგრამის საშუალებით, რეცეზენტის მიერ იწერება დასკვნა დადებითი ან უარყოფითი (ქულა არ ენიჭება)
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საჯაროდ კომისიის სხდომაზე.
- ვიზიტის დროს შეფასებული იქნა რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი, რომელთა უმრავლებაში დასკვნის ნაწილი იყო მწირი და არ მოიცავდა რეკომენდაციებს.
- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ადმინისტრაციული ნაწილის განმახორციელებელი) არსებული რეგულარულად ახორციელებს სტუდენტთა შეფასების მონიტორინგს და შედეგების მიხედვით საჭირო ღონისზიებების გატარებას

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროგრამის აკადემიური მენეჯერის ფუნქციები;
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან
- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა.

რეკომენდაციები:

- სამაგისტრო ნაშრომის შეფასებიბისას სასურველილ იქნებოდა მეტი ყურადღება დაეთმოს დასკვნით ნაწილის დეტალურად განმარტებას და რეკომენდაციების არსებობას წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების		X		

შეფასების ადეკვატურობა				

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- „ევროპული ინტეგრაციის და შრომითი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან საკონსულტაციო მომსახურების შესახებ სამ პარტნიორ უნივერსიტეტს გააჩნია წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც რომელიც ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას სასწავლო პროცესების მიმდინარეობის და აკადემიური მიღწევების შესახებ. ყველა მონაწილე უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო კურსების შერჩევაში და მათი თანმიმდევრობის განსაზღვრაში. კერძოდ, სტუდენტები მარტივად იღებენ ინფორმაციას სავალდებულო და არჩევით საგნების შესახებ პროგრამის აკადემიური მენეჯერისაგან მათთვის საინტერესო ნებისმიერი საკითხის შესახებ. ვინაიდან სასწავლო პროცესის ადმინისტირერება მიმდინარეობს შპს ''ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ'', ეს ამარტივებს პროგრამის მენეჯირების პროცესს. კერძოდ, სტუდენტების ინფორმირებულობისათვის არსებობს ერთი საერთო სივრცე და მინიმუმ ერთი საერთო საკონტაქტო პირი პროგრამის აკადემიური მენეჯერის სახით.
- სტუდენტების სურვილის შემთხვევაში უნივერსიტეტის მიერ ხდება ინდივიდუალურად შეთავაზება მათთვის საჭირო საგნების, განმარტება რომელი მათგანია სავალდებულო/არჩევითი და რას მოიცავს იგი, ასევე მათი განაწილება და ატვირთვა პორტალზე.
- სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა სამეცნიერო და სპორტულ/კულტურული ღონისძიებების შესახებ მიმდინარეობს პროგრამის აკადემიური კოორდინატორის მიერ ელექტრონულად, ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით (მოკლეტექსტური შეტყობილების სახით). კომუნიკაციის ეს ფორმა არის მაქსიმალურად მარტივი და უზრუნველყოფილი კარგი უკუკავშირით, რასაც ადასტურებენ სტუდენტები პირადი საუბრისას.
- სტუდენტებისაგან მეტი უკუკავშირის მიღების მიზნით შპს ''ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში'' რეგულერულად ტარდება შეხვედრა მაგისტრანტებთან ''დეკანის საათის'' ფარგლებში.
- შპს ქართულ -ამერიკულ უნიბერსიტეტში არსებობს კარიერის სამსახური რომლის მიზანია სტუდენტების ინფორმირებულობა დასაქმების შესახებ. კურსდამთაავრებულებთან და მიმდინარე სტუდენტებთან შეხვედრისას ამ დეპარტამენტის აქტივობების შესახებ სტუდენტები ნაკლებად იყვნენ ინფორმირებულები.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ რეგულარულად მიმდინარეობს სტუდენტების ინფორმირებულობა საკონსულტაციო საათების შესახებ

ელექტრონულად (მეილი) და/ან პირადი გასაუბრების საშულების ლექციის დაწყების ან დასრულების შემდეგ.

- პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ იყვენე ჩართული საერთაშორისო და გაცვლით პროექტებში , თუმცა ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სტუდენტების ნაკლები ინფორმირებულობა უნივერსიტეტების მიერ მათი დასაქმების სათანადო კონსულტაციების შესახებ.
- სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ საპროექტო სამეცნიერო საქმინობაში ჩართვის. კერძოდ, პროექტი ''საქართველოს ციფრული მეხსიერება-ბოლო 25 წ შეფასება'' რომელიც ხორციელდება შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბაზაზე
- სტუდენტების ნაწილი მონაწილეობდა გაცვლით პროგრამებში, საზღვარგარეთ არსებული სამივე პარტნიორი უნივერსიტეტის საშუალებით. მათი წარმომადგენლების მიერ კონკურსის საფუძველზე განხორციელდა 13 სტუდენტის შერჩევა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- კარიერის სამსახურის ფუნქციები;
- შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროგრამის აკადემიური მენეჯერის ფუნქციები;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვა.
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველილ იქნებოდა მეტი საკონსულტაციო საათები, რომელთა მიზანია სტუდენტების ინფორმირებულობა მომავალში მათი დასაქმების მხარდასაჭერად
- სასურველი იქნებოდა მომავალში სტუდენტების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილების მისაღებად, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტებში ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა როგორც სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, ასევე უშუალოდ მაგისტრანტებთან. კომისიის წევრებს ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ გასცნობოდნენ უშუალოდ სამაგისტრო თემებს, რომლებიც კომისიის წევრთა აზრით - პროფესორ - მასწავლებელსა და მაგისტრანტს შორის მჭიდრო თანამშრომლობის არსებობის შედეგად მაღალ დონეზე იყო შესრულებული. როგორც ცნობილია, სამაგისტრო საფეხურზე სწავლების პერიოდში, სამაგისტრო თემაზე მუშაობა და თემის დაცვა, აღნიშნული სასწავლო პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. ამიტომაც, პროფესორსა და სტუდენტს შორის სამაგისტრო თემის შერჩევას, სამეცნიერო ხელმძღვანელის მხრიდან მაგისტრანტისთვის სამეცნიერო ლიტერატურის დროული მიწოდებას და დროულ მითითებას, ხელმძღვანელსა და მაგისტრანტს შორის კონტაქტს (როგორც პირადი შეხვედრები, ასევე მაგ: ელ-ფოსტის მეშვეობით ურთიერთობა) საგრძნობლად ზრდის სამაგისტრო ნაშრომის მარალვალიფიკაციურ დონეზე შესრულების შესაძლებლობას. საბოლოო ჯამში კომისიის წევრები მივიდნენ დასკვნამდე, რომ: ○ სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა უშუალო შეხვედრები. მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ უზრუნყოფილ იქნენ შესაბამისი ლიტერატურით მათი ხელმძღვანელების მხრიდან. ○ სამაგისტრო თემების შერჩევა მიმდინარეობს სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე. ○ პროფესორ-მასწავლებლები - სამეცნიერო ხელმძღვანელები თავიანთი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელოვან ნაწილს უთმობენ მაგისტრანტებთან მუშაობას; ○ უზრუნველყოფილია ხელმძღვანელთა შეფასება მაგისტრანტების მიერ, რაც მაგისტრანტებს სწავლის პროცესში მათი უფლებების დაცვის ფარგლებში დამატებით უფლებებს ანიჭებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო ნაშრომები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროფესორების და მაგისტრანტების ერთობლივი სტატიების მომზადება და სამეცნიერო კონფერენციებში ერთობლივი მონაწილეობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
• პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; • პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდა არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში; • პროგრამის სტუდენტები სამივე უზრუნველყოფილები არიან უნივერსიტეტის მიერ სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 აკადემიური თანამდებობის მქონე პირი სამივე უნივერსიტეტიდან, აქედან 9 აფილირებული ლექტორია. მათთან ერთად სასწავლო პროცესში მონაწილეობს 9 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალი წარმოადგენს, როგორც ევროინტეგრაციის, ეკონომიკისა და სოციალურ მეცნიერებებს, ასევე სამართლის სფეროს. ისინი პროფესორის პოზიციებზე არჩეულნი არიან კონკურსის წესით; აქვთ გამოქვეყნებული აკადემიური შრომები ბოლო 10 წლის განმავლობაში. TAMPUS-ის პროექტის ფარგლებში ხდებოდა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებში მივლინებების დროს უცხოელ აკადემიურ პესონალთან გამოცდილების გაზიარებით. პროექტის დასრულების შემდეგ, პერიოდულად ეწყობა ტრენინგები სწავლების მეთოდების თუ მენეჯერული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის ქართველი ტრენერების მიერ. უცხოელი ტრენერების ჩართვა პროფესიული განვითარების პროცესში გაზრდის საწავლო პროგრამის წარმართვის ხარისხს. ადგილი ჰქონდა ერთი ლექტორის გასვლას ევროპაში სამეცნიერო კონფერენციაზე. აკადემიური პერსონალის (კონკრეტულად მათი, ვინც უშუალოდაა დაკავშირებული შრომითი ურთიერთობების კურსებთან) წახალისება და ხელშეწყობა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის გაზრდის პროგრამის ხარისხს და მოიზიდავს მეტ სტუდენტს. სასურველია ჩატარდეს ინტერსაუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენციები ორგანიზაციულ საკითხებში სტუდენტების ჩართვით. ეს, ერთის მხრივ, გაზრდის სტუდენტთა კვლევით მოტივაციასაც და, მეორეს მხრის, განავითარებს მათ ორგანიზაციულ უნარებს. ამასთან, სამი უნივერსიტეტის ჩართულობა გაზრდის პროგრამის ცნობადობასაც.

სამაგისტრო თემის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია შეესაბამება სტანდარტს. ისინი უშუალოდ არიან ჩართული მაგისტრანტებთან ერთად კვლევის პროცესში. თუმცა, სასურველია, რომ სამაგისტრო კვლევები იყენებდეს არამხოლოდ ნორმატიულ თუ სამართლებრივ რესურსს, არამედ უცხოურ აკადემიურ კვლევებსაც. მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციული მომსახურება გადავიდა შპს-გაუ-ს ხელში, პროგრამის მართვა გაიოლდა, როგორც სტუდენტისათვის, ისე ლექტორებისათვის; კომუნიკაცია გამარტივდა უნივეერსიტეტების ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა თუ ხარისხის სამსახურებს შორის. ამჟამად, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობაა 29 (პირველ კურსზე 14). 50 გამოყოფილი ადგილიდან ყოველ წელს პროგრამაზე ირიცხება 40-მდე სტუდენტი, გამონაკლისია მე-3 მიღება (21 სტუდენტი) და ბოლო მიღება (14) სტუდენტი. ამასთან აღსანიშნავია, რომ სტატუსს იჩერებს მიღებულთა დაახლოებით მესამედი. სტუდენტის სტატუსის შეჩერების ძირითად მიზეზად სახელდება დასაქმებულ სტუდენტთა დროის დეფიციტი, მძიმე სამუშაო გრაფიკი და დიდი სამუშაო დატვირთვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. თვითშეფასების დოკუმენტი; 2. TAMPUS Agreements (ორივე დოკუმენტი); 3. სკოლის საბჭოს ოქმი; 4. ხელშეკრულებები აკადემიურ პერსონალთან; 5. აკადემიური პერსონალის CV-ები; 6. ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის მართვის, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია უცხოელი ექსპერტების მოწვევა ტრენინგების ჩასატარებლად; 2. აკადემიური პერსონალის წახალისება სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღებისათვის; 3. ინტერსაუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენციები სტუდენტების ორგანიზაციულ საკითხებში ჩართვით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

1. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის გამოცდილება და პროფესიონალიზმი არის პროგრამაში სტუდენტთა მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.
2. შპს გაუ-ს ადმინისტრაციული პერდონალი და ხარისხის მართვა ორიენტირებულია სტუდენტთა და ლექტორთათვის ხელსაყრელი სასწავლო პირობების შექმნისათვის.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უნიბერსიტეტები ზრუნავენ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

აღწერა და შეფასება

როგორც ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში, ასევე კავკასიის უნივერსიტეტში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დანერგილია აკადემიური პერსონალის შეფასების ყოველ სემესტრული ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტთა მიერ მათი საქმიანობის შეფასება მიეწოდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი ერთეულის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის. უნივერსიტეტების ხარისხის სამსახურების მიერ დაინერგა ფოკუს ჯგუფები და პერმანენტულად ტარდება პერსონალის გამოკითხვა, რათა მიღებულ იქნას მათი პროფესიული გადამზადებისა და განვითარებისათვის საჭირო ინფორმაცია.

განხორციელებული შეფასების საფუძველზე სამივე უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტები ბელგიაში, გერმანიასა და ბულგარეთში მოქმედ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ახორციელებენ გარკვეულ პროექტებსა და პროგრამებს (ტრეინინგები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, სწავლებისა და კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული სემინარები, საუკეთესო უცხოური გამოცდილების გაზიარებისათვის მრგვალი მაგიდები და ტრენინგები და ა.შ). სამივე უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების ორგანიზებით იმართება სამეცნიერო კონფერენციები აკადემიური პერსონალისათვის. საერთაშორისო თანამშრომლობის გასაზრდელად და საზღვარგარეთ კონფერენციებში მონაწილეობის მიღების მიზნით ფაკულტეტები პროფესორებისათვის გამოყოფენ შესაბამის ფონდს, რომლის გამოყენებითაც

მათ კვლევითი ვიზიტების ფარგლებში შეუძლიათ გაემგზავრონ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და სხვა. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან; • ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან • თვითშეფასების ანგარიში ○ სამივე უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ „ევროპული ინტეგრაციის და შრომითი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი გააჩნია სამივე პარტნიორ უნივერსიტეტს , საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართები, მათ შორის, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა , შესაბამის დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ამ დაწესებულების რესურსების სათანადო გამოყენების პირობით, შესაბამისი მარაგები, რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამის სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით. აღნიშნული რაც სტუდენტებს უადვილებს სწავლების პროცესს (თანაბრად შეუძლია ისარგებლოს სამივე უნივერსიტეტის მატერილური რესურსით) ○ ვიზიტის ფარგლებში სამივე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში შემთხვევითობის პრინციპით შეფასდა ლიტერატურის არსებობა. შედეგად გამოვლინდა რომ საგანი რომელიც სილაბუსის მიხედვით ისწავლება ერთ უნივერსიეტში მისთვის საჭირო არაელექტრონული ლიტერატურის ნაწილი შესაძლებელია იყოს მეორე ან მესამე უნივერსიტეტში, რაც სტუდენტებს უქმნის დისკომფორტს. ასევე ლიტერატურა ძირითადად მიწოდებული იყო რიდერების სახით ხოლო სრული წიგნის მოპოვების შესაძლებლობა არსებობდა სხვა უნივერსიტეტში ○ აღსანიშნავია რომ ბიბლიოთეკები ადაპტირებულია შეზღუდული უნარების მქონე პირებზე ○ პროგრამის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ასევე საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზები. სტუდენტების და ლექტორების მიერ აქტიურად ხდება მათი გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მატერიალური/ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ○ ბიბლიოთეკების მატერიალური რესურსები (წიგნადი ფონდი, ელექტრონული ტექნიკა) ○ ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები; ○ ხელშეკრულებები მატერიალური რესურსების ფლობის შესახებ
რეკომენდაციები: **სასურველი იქნებოდა ბიბლიოთეკებში არსებული ლიტერატურა მოიპოვებოდეს იმ უნივერსიტეტში სადაც ხორციელდება კონკრეტული საგნის განხორციელება.**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **სააკრეტაციოდ წარმოდგენილ პროგრამას** აქვს საკმარისი ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინასური რესურსები რომ შეუძლია მიიღოს 50 სტუდენტი ყოველწლიურად. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სტუდენტების მიერ გადახდილი თანხები. სწავლის წლიური საფასური შეადგენს 2250 ლარს თვითოეული სტუდენტისთვის. პროგრამის ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით, პარტნიორი უნივერსიტეტების გადაწყვეტილებით, სტუდენტი სრულად იხდის შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში, და შესაბამისად, მის მიერ სასწავლო გრანტის მოპოვების შემთხვევაში სასწავლო გრანტი ირიცხება შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში. თავის მხრივ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი კისრულობს ვალდებულებას, სტუდენტის მიერ ჩარიცხული სწავლის საფასურიდან სრულად დაფაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის ყოველი სასწავლო წლის დასასრულს თანაბრად გაანაწილოს დარჩენილი თანხა. ფინანსური რისკი თანაბრად ნაწილდება ყველა პარტნიორ უნივერსიტეტზე პროგრამის ადმინისტრირების უზრუნველსაყოფად გამოყოფილია პროგრამის დასაფინანსებლად შემოსული თანხის 10 %. სტუდენთა მინიმალური რაოდენობა რომელის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის ფინანსური მდგრადობა მერყეობს 18-20 სტუდენტის ფარგლებში. წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ბოლო 5 წლის მაჩვნებლების მიხედვით

ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მერყეობს 21-38 სტუდენტს შორის რაც მიუთითებს პროგრამის ფინასურ მდგრადობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ უნივერსიტეტების ადმინსტრაციასთან; ○ სკოლის ბიუჯეტი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია წარმოდგენილი იქნეს კონკრეტული სააკრეტაციო პროგრამის ბიუჯეტი, რათა უკეთ შეფასდეს კონკრეტული პროგრამის ფინასური მდგრადობა. მე-2 კურსზე სტატუს შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა შეშფოთების საფუძველს იძლევა. მაშინ როდესაც სააკრეტაციოდ წარმოდგენილ პროგრამას აქვს საკმარისი ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინასური რესურსები რომ შეუძლია მიიღოს 50 სტუდენტი ყოველწლიურად. სასურველია სააკრეტაციოდ წარმოდგენილ პროგრამის შესახებ საზოგადოების უფრო ფართო მასების ინფორმირება ამ პროგრამის ცნობადობის ამაღლების და მეტი სტუდენტის მოზიდვის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამს ჰქონდა ადმინისტრირების პრობლეზები და პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტების ერთობლივი გადაწყვეტილებით რომ ადმინისტრირება მოეხდინა ერთერთ უნივერსიტეტს ეს პრობლება წარმატებით გადაიჭრა.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

3. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამივე უნივერსიტეტის მიერ შექმნილია თვითშეფასების დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს სამაგისტრო პროგრამის მიმდინარეობას; პროგრამის ხელმძღვანელები და ლექტორები ჩართულია არიან პროგრამის სამომავლო განვითარების პროცესში. ხდება დამსაქმებლების მოწვევა და მათთვის პროგრამის გაცნობა. ხდება მათი ხედვების, შენიშვნებისა და ბაზრის შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. შპს - გაუ-ს მიერ ადმინისტრირების გადაბარებამ გააიოლა და გააუმჯბესა პროგრამაზე სტუდენტების მიღება და ეფექტური გახადა სასწავლო პროცესი. აკადემიური და

კარიერული მენეჯერის არსეობა ზედამხედველობას უწევს, ერთის მხრივ, სტუდენტებს სწავლის პროცესში და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულებს შრომის ბაზარზე. ეს კი საშუალებას იძლევა, შეფასდეს პროგრამის განვითარების დინამიურობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. თვითშეფასების დოკუმენტი; 2. ინტერვიუები ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ლექტორებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ კომუნიკაციის ეფექტური კოორდინაცია ○ აკადემიური მენეჯერი და კარიერის სამსახური.
შეფასება 0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტებში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის და მონიტორინგის დეპარტამენტები, რომლებიც ზრუნავენ სასწავლო და კვლევითი პროცესების ხარისხის ამაღლებაზე. ეს უკანასკნელი შეიმუშავებს, სასწავლო და კვლევითი პროცესების ხარისხის შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტებს, კვლევის მეთოდებს, გეგმავს შეფასების პერიოდულობას, შემდეგ აფასებს, როგორც სასწავლო, ასევე კვლევით პროცესებს და მოპოვებული მონაცემების საფუძველზე შეიმუსავებს რეკომენდაცებს სასწავლო და კვლევითი პროცესების ხარისხის გასაუმჯობესებლედ. უნივერსიტეტების მიერ სისტემატიურად ხორციელდება კურსდამთავრებულთა მონიტორინგი, და ხდება შეფასება განხორციელდა თუ არა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგი. დამსაქმებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის სრულყოფის პროცესში, მათთან კონსულტაციის შედეგად ხდება პროგრამაში გარკვეული ცვლილებების განხორციელება, რაც განაპირობებს იმას, რომ პროგრამა ყოველთვის ასახავს ბაზრის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა; დასკვნა ევროპული ინტეგრაციის და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- „ევროპული ინტეგრაციის და შრომითი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება ადმინისტრატორი უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ (შპს ''ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის) პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად.
- წინა აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმინილია პროგრამისათვის საჭირო უნიფიცირებული ხარისხის კითხვარი. მის საფუძველზე ხორციელდება მომავალში ხარვეზების ინტერვენცია, განათლების შესაბამისი დონის ხელისშემწყობა და საგანმანათლებლო გარემო.
- ხარისხის სამსახურის მიერ ხორციელდება ძირითადად ელექტრონული მონიტორინგი: სტუდენტების/უნივერსიტეტების პერსონალის კმაყოფილების შეფასება, ჩარიცხვა, პროგრესიისა და დასრულების მაჩვენებლები, დასაქმების მაჩვენებლები და ა.შ. ასევე სანდო და ვალიდური მონაცემები (როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი) პროგრამის შესაფასებლად და მიგნებების გაანალიზება. (მაგ., აღმოჩენილი ტენდენციები, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები);
- არსებობს ლექციებზე დაკვირვების და შეფასების სპეციალური პროცედურა კარგი უკუკავშირით
- ხარისხის გასაუმჯობესებლად არსებობს პროგრამის განვითარების კომისია რომლის დასკვნის საფუძველზე ხორცილედება სხვადასვხა ცვლილებები

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები;
- პროგრამის განვითარების კომისიის ოქმები;
- ინტერვიუები ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: . შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი; შპს კავკასიის უნივერსიტეტი; სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ნიკა ჩიტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი</u>

ეკატერინე მიქელაძე



ნინო ფავლენიშვილი



ელენე ხურციძე